საქართველო: დასაქმება და უმუშევრობა

ნანა ნადარეიშვილი
სტუ-ს ასოცირებული პროფესორი
ნონა დანელია,
სტუ-ს დოქტორანტი.

საქართველოს დამოუკიდებლობისა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან ერთად ქვეყნის მოსახლეობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი გახდა დასაქმების და უმუშევრობის პრობლემა. ამაზე მეტყველებს საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელი ორგანიზაციების გამოკითხვები, რომლებიც ტარდება 1990-იანი წლებიდან დღემდე. მაგალითად, NDI-ის გამოკითხვების თანახმად, რომელიც 2011 წლის 9-21 სექტემბერს ჩატარდა საქართველოში, "ყველაზე მნიშვნელოვან ეროვნულ საკითხებს შორის 62%-ით ისევ დასაქმების პრობლემა ლიდერობს. 42%-ით მეორე ადგილზეა ფასების ზრდა და ინფლაცია, მესამეზე – 31%-ით ტერიტორიული მთლიანობაა. დასაქმება 74%-ით ყველაზე მნიშვნელოვან ადგილობრივ საკითხებშიც ლიდერობს. **გამოკითხულთა 67% თავს დაუსაქმებლად მიიჩნევს**, 33% - კი დასაქმებულად. დასაქმებულთა შორის, ძირითადად, საშუალო ასაკის ადამიანები ჭარბობენ. გამოკითხულთა 45% უმუშევარია და ეძებს სამსახურს"[1].

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოს მიერ დასაქმების პროგრამების დაფინანსებ 2006 წლის შემდეგ ტრადიციად იქცა, მაგრამ ისინი მოკლევადიანი და არაეფექტიანი გამოდგა. მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები უმუშევრობის რეალურ მაჩვენებელს ზუსტად ვერ ასახავს, ამ პრობლემის სიმწვავე ცხადად იკვეთება.

მოსახლეობის დასაქმების სფეროში გადაუჭრელი პრობლემები არა მარტო საქართველოში, არამედ თითქმის ყველა ტრანსფორმაციის ეკონომიკის მქონე ქვეყანაში შეიმჩნევა, რაც ცივილიზებული შრომის ბაზრის ჩამოყალიბების პროცესში მნიშვნელოვნად აფერხებს რეფორმებს. ამიტომ გათვალისწინებულ უნდა იქნას განვითარებული ქვეყნების გამოცდილება და მათი შრომის ბაზრის მიერ შექმნილი საზოგადოებრივი სიკეთე, რაც მნიშვნელოვანი საფუძველი გახდა დასავლეთის განვითარებული ქვეყნების კეთილდღეობის არსებული დონის მიღწევაში.

დასაქმება და უმუშევრობა არც ერთ განვითარებულ ქვეყანაში არ განიხილება როგორც ცალკე აღებული პრობლემა, იგი მთლიანი ეკონომიკური და სოციალური საკითხების შემადგენელი ნაწილია და პრობლემის გადაწყვეტაც ხანგრძლივი კომპლექსური მიდგომის საფუძველზე ხდება შესაძლებელი.

საქართველოში მოსახლეობის გარანტირებული დასაქმების პრაქტიკა საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე არსებობდა. ის, არასრულყოფილად, მაგრამ მაინც წყვეტდა ამ პრობლემას.

დღეს, ჩვენ ქვეყანაში რადიკალურად განსხვავებული მდგომარეობაა. მოსახლეობის სრულყოფილი დასაქმებისათვის საჭიროა ჩვენი ქვეყნის თავისებურებების გათვალისწინებით, განვითარებული ქვეყნების გამოცდილების გაზიარება, რაც ნაკლებად მტკივნეულს გახდის ამ პროცესს და უფრო მოკლე პერიოდში მოგვცემს სასურველ შედეგს. ქვემოთ გამოსახულ №1 გრაფიკში ნაჩვენებია 1998 წლიდან 2010 წლამდე საქართველოში ამ კუთხით არსებული სიტუაცია, რომელიც შედგენილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მასალებზე დაყრდნობით.

დასაქმების თეორიისა და პრაქტიკის მაკროეკონომიკური შესწავლა ცივილიზებული საზოგადოების ცენტრალური პრობლემაა. დასაქმების მაღალი დონე და დაბალი იძულებითი უმუშევრობა უდიდეს გავლენას ახდენს ერის მიღწევებზე. უმუშევრობის ბუნებრივი დონე ნიშნავს რესურსების ნაწილობრივ გამოყენებასა და მოსახლეობის დაბალ შემოსავლებს. დასაქმების მაღალი დონე მხოლოდ ეკონომიკური შემოსავლების ზრდას არ გამოხატავს. დასაქმება და შემოსავლების ზრდა ადამიანთა ნორმალური ცხოვრების პირობებისა და სოციალური განვითარების საფუძველია. ამ გარემოებათა გამო დასაქმების თეორია ყოველთვის იყო და არის ამ პრობლემების მკვლევართა ცენტრში. მართლაც, დასაქმების სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებათა შემუშავება შეუძლებელია მათი თეორიული გააზრებისა და მეცნიერული დას-

[1] ბანკები და ფინანსები. №10. დეკემბერი 2011. http://banksandfinance.ge/society/3302-un.html

გრაფიკი №1.



აბუთების გარეშე. პრაქტიკულად ყველა ცნობილი ეკონომიკური თეორიები, ამა თუ იმ სახით უკავშირდებიან შრომითი რესურსების დასაქმების საკითხებს. ხანგრძლივი კვლევის შედეგად შეიქმნა დასაქმების შესახებ ეკონომიკური თეორიის სხვადასხვა მიმართულებები. თითოეული მათგანი მიზნად ისახავდა ეკონომიკური განვითარებისა და პროგრესის საუკეთოსო გზის არჩევას.

დასაქმებასთან დაკავშირებული პრობლემების გადასაჭრელად გათვალისწინებული თეორიების შემუშავების დონე და გაშუქების ხარისხი დამოკიდებულია:

- იმ ისტორიულ პერიოდზე, როდესაც ესა თუ ის თეორია მუშავდება;
- ავტორის მიზნებზე;
- ავტორის მიერ ჩატარებულ კვლევის ხარისხზე.

ქვეყნის მეურნეობის მენეჯმენტის ეკონომიკური თეორიების დებულებათა პრაქტიკული გამოყენების პრობლემა ახალი არ არის. ეს პრობლემა წამოიჭრა იმის გამო, რომ დღეს, **არც ერთი ეკონომიკური თეორია არ შეიძლება იყოს აღიარებული შეუცდომლად და ყოვლისმომცველად**. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ დასაქმებასა და უმუშევრობის საკითხებზე ამჟამად ცნობილი ყველა თეორია: მარქსისტული, კეინზიანური, ნეოკლასიკური, მონეტარული, ინსტიტუციონალური და სხვა გარკვეული ხარისხით შეზღუდულია, რაც განპირობებულია ქვეყანაში ეკონომიკის განვითარების მდგომარეობით დროის გარკვეულ მონაკვეთში, ეკონომიკური განვითარების დინამიკის სხვადასხვა მიმართულებით, ამა თუ იმ ქვეყნების ეროვნული თავისებურებებით, და ა.შ.

დასაქმების სფეროში ერთიანი, ყოვლისმომცველი და ოპტიმალური ეკონომიკური თეორიაზე საუბარი, რომელიც სრულყოფილად აღწერდა შრომითი რესურსებისა და ბაზრის განვითარების ყველა ნიუანსებს, არ იქნებოდა გამართლებული და რაც მთავარია, დასაბუთებული. ამაზე მიუთითებს ჩვენი ქვეყნის მაგალითიც, სადაც სოციალურ-შრომით ურთიერთობებში საბაზრო რეფორმების პირველ ეტაპზევე იყენებდნენ მოცემულ დარგში მსოფლიო გამოცდილებას, მაგრამ როგორც დასაქმების დონის ამსახველი გრაფიკიდან ჩანს, დღემდე ამ კუთხით პროგრესი არ შეიმჩნევა (იხ. გრაფიკი №1), როგორც ვხედავთ, 1998 წლიდან დასაქმების დონის ტრენდი კლებულობს. ასევე საგულისხმოა, რომ ყველაზე მაღალი დასაქმების მაჩვენებელი დაფიქსირებულია 2001წელს – 58,8%, ხოლო ყველაზე დაბალი 2008 წელს – 52,3%, რაც გამოწვეული იყო რუსეთ-საქართველოს ომით და მსოფლიო ეკონომიკური კრიზისით. აღნიშნული მონაცემები მიუთითებს, რომ 2003-2010 წლებში საქართველოში დასაქმებამ იკლო 4,8%-ით.

საერთოდ, საბაზრო ეკონომიკის ტრანსფორმაციის პირობებში დასაქმების პრობლემა იძენს ახალ მნიშვნელობას თეორიული და პრაქტიკული თვალსაზრისით. ამ პრობლემის გადაჭრა ნიშნავს ეფექტიანი ეკონომიკის შექმნას, რომელსაც ძალუძს უზრუნველყოს საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური პროგრესი. არსებობენ

ცხრილი №1

მოსახლეობის დასაქმება საქართველოს რეგიონების მიხედვით (ათასი კაცი)

	2006წ	2007წ	2008წ	2009წ	2010წ
საქართველო სულ	1747.3	1704.3	1601.9	1656.1	1628.1
ქ. თბილისი	303.6	346.1	302.1	308.7	318.3
იმერეთი	356.8	338.0	331.7	327.2	323.5
კახეთი	201.0	197.1	186.2	184.1	174.2
შიდა ქართლი	129.5	117.4	98.4	113.2	123.4
ქვემო ქართლი	209.7	195.2	173.0	177.7	168.7
აჭარის ა.რ.	122.0	104.2	122.2	148.2	148.6
სამეგრელო ზემო სვანეთი	183.9	186.2	185.2	189.8	174.4
დანარჩენი*	240.8	220.1	203.2	207.3	197.0

***სამცხე-ჯავახეთი, გურია, მცხეთა-მთიანეთი.**

თეორიული მიმდინარეობები, რომლებიც ეკონომიკაში სახელმწიფოს როლთან მიმართებაში განსხვავდებიან. **საქართველოს რეალური სინამდვილისათვის მისაღებია სწორედ ისეთი ეკონომიკის მოდელი, სადაც თავისუფალ საბაზრო სტრუქტურებთან ერთად გამოყენებული იქნება გონიერი, ეფექტიანი, რეგულირების მინიმალურად დასაშვებ ფარგლებში განსაზღვრული სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა.**

№1 გრაფიკიდან ჩანს, რომ ბოლო 13 წლის განმავლობაში ყველაზე დაბალი უმუშევრობის პროცენტი იყო 2000 წელს (12,6%), ხოლო ყველაზე მაღალი – 2009 წელს (16,9%) დაფიქსირდა. მკვეთრად იკლო დასაქმების მაჩვენებელმა და იმატა უმუშევრობის დონემ 2008 წლიდან, რაც განპირობებულია რუსეთ-საქართველოს ომის გავლენით და მსოფლიო ეკონომიკური კრიზისით. მიუხედავად იმისა, რომ საქართველომ, როგორც აღნიშნული ომისგან დაზარალებულმა სახელმწიფომ დასავლეთის ქვეყნებიდან ოთხ მილიარდ აშშ დოლარზე მეტი ფინანსური დახმარება მიიღო ეკონომიკის გასაუმჯობესებლად. უმუშევრობის პრობლემამ უფრო მეტი სიმწვავით იჩინა თავი ქვეყნაში. ქვეყნის რეგიონულ ჭრილში დასაქმების პროცესი შემდეგნაირად გამოიყურება (იხ. ცხრილი №1).

ამ მონაცემებიდან ჩანს, რომ დასაქმების რაოდენობით ლიდერობს იმერეთი, რომლის შემდეგ მოდის თბილისი. ამ მხრივ ყველაზე არასახარბიელო მდგომარეობა სამცხე-ჯავახეთში, გურიასა და მცხეთა-მთიანეთშია, რომლებიც ცხრილში გაერთიანებულია "დანარჩენის" სახელწოდებით.

2006-2010 წლებში საქართველოს უმეტეს რეგიონებში დასაქმება კლებულობდა, მაგრამ თბილისსა და აჭარაში ადგილი ჰქონდა ზრდის ტენდენციას. მაგალითად, აჭარაში 2006 წლიდან 2010 წლამდე დასაქმებულთა რიცხვი 26600 კაცით გაიზარდა. ეს ტენდენცია ქვემოთ მოცემულ დიაგრამებზეც კარგად ფიქსირდება (იხ. დაიაგრამა №1).

ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის განვითარებაზე ყველაზე დიდ გავლენას ახდენს მოსახლეობის დასაქმების დარგობრივი სტრუქტურა, რომლის ფორმირება დამოკიდებულია კონკრეტული დარგის როლზე და ადგილზე ამა თუ იმ ქვეყნის განვითარებაში. საქართველოს რეგიონების დარგობრივი სპეციალიზაცია გაპირობებულია ბუნებრივ-კლიმატური თავისებურებებით, თვითოეულ რეგიონში საწარმოო ძალების განვითარების დონითა და სამუშაო ძალის ხარისხით.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში მოსახლეობის უმეტესი ნაწილი თვითდასაქმებულთა კატეგორიას მიეკუთვნება. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით დასაქმებულთა მთლიან რაოდენობაში თვითდასაქმებულთა რიცხვი 62%-ს, ხოლო დაქირავებულების 38%-ს შეადგენს. თვითდასაქმებული მოსახლეობა, ძირითადად რეგიონებშია კონცენტრირებული. ამის მიზეზად საკუთარ სასოფლო-სამეურნეო მიწებზე შრომა იგ-

დიაგრამა №1. დასაქმებულთა რაოდენობა რეგიონულ ჭრილში 2006-2010 წწ.





*დანარჩენი (სამცხე-ჯავახეთი, გურია, მცხეთა-მთიანეთი)[2]

ულისხმება[3]. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის თანახმად, თვითდასაქმებული არის ადამიანი, რომელიც „საქმიანობს ოჯახური შემოსავლის მიღების მიზნით, აგრეთვე ოჯახურ საწარმოში/მეურნეობაში უსასყიდლოდ მომუშავე პირი.” ამაში შედიან ის ადამიანები, რომლებიც ნებაყოფლობით ამუშავებენ თავიანთ საკარმიდამო ან ოჯახის მიწას. ამის შედეგია ის მონაცემები, რომლის მიხედვითაც უმუშევრობის დონე რეგიონებში გაცილებით დაბალია, ვიდრე თბილისში (იხ. დიაგრამა №2.). რატომ? იმიტომ, რომ პოტენციური სამუშაო ძალა ვერ ჩაითვლება სოფლის მეურნეობის სექტორში დასაქმებულად. ამიტომ, თბილისში უმუშევრობის დონე მაღალია - 30.1%.

დიაგრამა №2. უმუშევრობის დონე საქართველოს რეგიონებში 2010 წელს[4]



შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (შსო) მეთოდიკით უმუშევრობის დონე, განისაზღვრება უმუშევართა რაოდენობის შეფარდებით, შრომითი რესურსების რაოდენობასთან. ის უჩვენებს სტრუქტურულ დისპროპორციებს სამუშაო ძალის მოთხოვნა-მიწოდებაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ ძალიან მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს ზღვრულად დასაშვები უმუშევრობის დონის განსაზღვრა. ამასთან დაკავშირებით არსებობს განსაკუთრებული აზრი. უმუშევრობის დონე, რომელიც შეიძლება დასაშვები იყოს, მაგალითად, ესპანეთისთვის (24%), მსოფლიოს მრავალი ქვეყნისთვის დაუშვებლად ითვლება. ქვემოთ მოცემულ დიაგრამა №3-ზე ნაჩვენებია უმუშევრობის დონე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში.

ევროკავშირის ქვეყნებისთვის, რომლებიც ასრულებენ ამა თუ იმ სახის პროდუქციაზე წარმოების კვოტების შესახებ შეთანხმებას, გათვალისწინებულია სოციალურ პროგრამებზე დამატებითი სუბსიდიები, რომელიც საშუალებას იძლევა მხარდაჭერილი იქნას უმუშევართათვის მოხმარების მისაღები სტანდარტები. ჩვენი აზრით, საქართველოს შემთხვევაში კი, გარედან დახმარების გარეშე, სახელმწიფომ თვითონ უნდა უზრუნველყოს უმუშევართა მატერიალური დახმარება.

საერთოდ, უმუშევრებს მიაკუთვნებენ არა

[2] წყარო: http://www.geostat.ge/

[3] ნ. ნადარეიშვილი. დასაქმების რეგიონული პრაობლემები საქართველოში. შრ. კრებ.: გლობალური კრიზისი და საქართველოს ეკონომიკა. (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, 27-28 მარტი 2009. გამომც. “ინოვაცია”.

[4] წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური http://www.geostat.ge/

დიაგრამა №3. უმუშევრობის დონე სხვადასხვა ქვეყნებში 2010 წლის მონაცემებით



მარტო სამსახურიდან სხვადასხვა მიზეზით განთავისუფლებულებს, არამედ იმ პირებსაც, რომლებმაც ნებაყოფლობით მიატოვეს სამუშაო და ცდილობენ მოძებნონ ახალი.

თავიანთი მიზეზების მიხედვით უმუშევრობის სტრუქტურა მოიცავს სამუშაო ძალის ოთხ ძირითად კატეგორიას: ვინც სამუშაოდან დათხოვნის გამო დაკარგა სამუშაო, ნებაყოფლობით დატოვა სამუშაო, მივიდა შრომის ბაზარზე გარკვეული შესვენების შემდეგ და პირველად მიაკითხა შრომის ბაზარს. ამ კატეგორიების თანაფარდობა დამოკიდებულია ეკონომიკური ციკლის ფაზაზე.

უმუშევრობას განაპირობებს არა თვით შრომის ბაზარი, არამედ საბაზრო ეკონომიკა მთლიანობაში, რომლის აუცილებელ ნაწილსაც თვითონ (შრომის ბაზარი) წარმოადგენს. რეალურ ეკონომიკურ ცხოვრებაში უმუშევრობა გამოდის როგორც სამუშაო ძალის სიჭარბე მის მოთხოვნაზე, ანუ უმუშევრობის მიზეზს წარმოადგენს შრომის ბაზრის დისბალანსი და შრომაზე მოთხოვნა-მიწოდების დარღვევა.

ამასთან აღსანიშნავია, რომ შრომის ბაზარი ასახავს მხოლოდ სამუშაო ძალაზე მოთხოვნა-მიწოდებას შორის არსებულ პროპორციებს და უშუალო მონაწილეობას არ იღებს მის ფორმირებაზე. ადამიანური რესურსები, საიდანაც ყალიბდება მოთხოვნა-მიწოდებას შორის ესა თუ ის პროპორციები, მოედინება შრომის ბაზრის გარეთ არსებული წყაროებიდან (მატერიალური და არამატერიალურ წარმოების სფერო, მიმოქცევის სფერო). ეს პროპორციები ყალიბდება სტიქიურად და ფიქსირდება შრომის ბაზარზე. შრომის ბაზარი ხდის უმუშევრობას საზოგადოებისთვის ხილულს. ეს საშუალებას აძლევს სახელმწიფოს დაარეგულიროს უმუშევრობა ამა თუ იმ შედეგიანობით, უმუშევართა გადამზადების გზით და შეარბილოს შრომითი მოწყობის პრობლემები[6].

საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში შრომის ბაზრის რეგულირების მნიშვნელოვან საფუძველს წარმოადგენს დამოკიდებულება უმუშევრობასა

გრაფიკი №2. ფილიპსის მრუდი



[5] წყარო: "ბანკები და ფინანსები" http://banksandfinance.ge/society/3545-..html

[6] ნ. ნადარეიშვილი, ნ. დანელია. დასაქმებისა და უმუშევრობის პრობლემები საქართველოში. სოხუმის სახ. უნივერსიტეტის საერთ. სამეცნ. კონფერენცია. "პოსტკრიზისული ეკონომიკის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფის მექანიზმები". თბ. 18-19 ნოემბერი 2011.

და ხელფასს შორის. საუბარია ფილიპსის მრუდზე, რომელიც გრაფიკულად ასახავს ამ ორ სიდიდეს შორის არაწრფივ დამოკიდებულებას (გრაფიკი №2). ეს დამოკიდებულება შემოიღო ინგლისელმა ეკონომისტმა ა. ვ. ფილიპსმა.

თუ დავუშვებთ, რომ არსებობს ერთნაირი დამოკიდებულება ხელფასსა და ფასის ცვლილების ტემპს შორის, მაშინ ფილიპსის მოდელი შეიძლება გადაკეთდეს უმუშევრობასა და ფასების დონის ცვლილების ტემპს შორის დამოკიდებულებად.

მრავალი წლის განმავლობაში ფილიპსის მრუდი დასავლეთის ქვეყნებში გამოიყენებოდა სოციალურ-ეკონომიკური რეგულირების ბაზად. ბევრი დასავლეთის სწავლული ეკონომისტი დღესაც გამოდის იმ დებულებიდან, რომ არსებობს ხელფასსა და ფასებს შორის ცვლილებებისას ერთი მიმართულებით მოძრაობა, და სხვადასხვა მიმართულებით – მოცემულ სიდიდეებსა და უმუშევრობას შორის. თუმცა მრავალი მაგალითი არსებობს (მათ შორის საქართველოში 1990-იანი წლების დასაწყისში), როდესაც უმუშევრობა და ინფლაცია ღებულობდა არა უკუ, არამედ პირდაპირ კავშირს: მიუხედავად უმუშევრობის ზრდისა ფასებიც აგრძელებდნენ ზრდას. ეს იწვევს ფილიპსის მრუდის, როგორც ეკონომიკაში საიმედო რეგულატორის მეცნიერული დასაბუთების კრიტიკას, რომელიც გასათვალისწინებელია ყველა ქვეყნისთვის და მათი ეკონომიკური განვითარების ნებისმიერი პერიოდისთვის.

აქედან გამომდინარე, საჭიროა გათვალისწინებულ იქნას დასავლეთის ქვეყნების გამოცდილება, სტანდარტები და მეთოდიკები შრომის ბაზრის რეგულირებაში და კონკრეტულად იქნას გამოყენებული ჩვენი ქვეყნის სპეციფიკის გათვალისწინებით ადამიანთა კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბანკები და ფინანსები. №10. 2011. http://banksandfinance.ge/society/3302-un.html
2. ნ. ნადარეიშვილი. დასაქმების რეგიონული პრობლემები საქართველოში. შრ. კრებ.: გლობალური კრიზისი და საქართველოს ეკონმიკა. (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, 27-28 მარტი 2009. გამომც. "ინოვაცია".
3. http://banksandfinance.ge/society/3545-..html
4. ნ. ნადარეიშვილი, ნ. დანელია. დასაქმებისა და უმუშევრობის პრობლემები საქართველოში. სოხუმის სახ. უნივერსიტეტის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. "პოსტკრიზისული ეკონომიკის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფის მექანიზმები". თბ., 18-19/11 2011.
5. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური http://www.geostat.ge/.
6. ლუდვიგ ერჰარდი. კეთილდღეობა ყველასათვის, გამომცემლობა "გრაალი", თბ., 2011წ.

ГРУЗИЯ: ЗАНЯТОСТЬ И БЕЗРАБОТИЦА

НАНА НАДАРЕЙШВИЛИ
Ассоциированный профессор ГТУ,
НОНА ДАНЕЛИЯ
Докторант ГТУ.

В статье рассмотрено состояние занятости и безработицы в настоящее время. По опросу организации занимающейся исследованием общественного мнения (NDI) в стране самой острой проблемой являются вопросы занятости(62%), которые в социологических исследованиях опережают повышения цен (43%) и восстановления территоряльной целостности (31%).

Подчеркнуто, что ныне все известные теории по занятости и безработице в определенной мере ограниченны в связи с их конкретным историческим характером. Поэтому, в сфере занятости разговор о единой, всеобъемлющей и оптимальной экономической теории, которая раз и навсегда охарактеризовала бы все нюансы трудовых ресурсов и рынка труда, не был бы оправданным и, что главное, подтвержденным. На это указывает и пример Грузии, где на начальном этапе рыночных реформ в социально-трудовых отношениях использовали мировой опыт, но до сих пор не отмечается прогресса в этом направлении.

На основе официальных показателей в статье анализируется динамика занятости и безработицы за 1989-2010 годы, рассмотрены их региональные различия.